

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით შპს „მთავარი არხის“ დაკვეთით ტარდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო კომპანია Ipsos S.A. (<https://www.ipsos.com/en>). Ipsos S.A. არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა;
 - რომელ პარტიას მისცემდით ხმას, შემდეგ კვირას რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს? (მთელი ქვეყნის მასშტაბით)
 - რომელ პარტიას მისცემდით ხმას, შემდეგ კვირას რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს? (თბილისის მასშტაბით)
 - თბილისის მერობის რომელ კანდიდატს მისცემდით ხმას, შემდეგ კვირას რომ თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს?
 - რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ კოალიციური მმართველობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის?
 - როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო? (სწორი მიმართულებით თუ არასწორი მიმართულებით?)
 - როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში?
2. საველე კვლევის ჩატარების დრო: 2021 წლის 21სექტემბერი- 25 სექტემბერი
3. გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი: 1500 რესპონდენტი, სტრატეგიული შემთხვევით შერჩევა, პირისპირ ინტრევიუ.
4. რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა: 18 + ასაკის რესპონდენტები, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, გამოკითხვის ჩატარების ადგილას
5. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს: დიახ, [Response rate] 60,7%
6. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ან არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	%
1. სახლში არავინ ცხოვრობს	701	
2. არავინ გააღო კარი, არავინ იყო სახლში	137	
3. ადამიანმა, რომელთანაც შედგა კონტაქტი უარი განაცხადა თანამშრომლობაზე	357	
4. შერჩეულ რესპონდენტს არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება ინტრევიუს ჩატარების გეოგრაფიაში	301	

5. ბოლო დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი არ იყო სახლში	215	
6. შერჩეულმა რესპონდენტმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე	196	
7. შერჩეულ რესპონდენტს არ შეეძლო კვლევაში მონაწილეობა (ავად იყო/ და ა.შ)	250	
8. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება სახლში და ინტრევიუს ჩატარება არ არის შესაძლებელი	213	
9. სხვა მიზეზი	103	
10. წარმატებული ინტერვიუ	1500	
ჯამი	3973	60,66%

7. შერჩევის ზომა: 1500 დასრულებული ინტერვიუ

8. ცდომილების ფარგლები: +/- 3%

9. ინფორმაცია ნებისმიერი სხვა ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა კვლევის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა-